

ტელინით, სამონტაჟო ქაფით (2 სმ-ზე მეტი ღრეჩოსათვის), კარ-ფანჯრის ჩარჩოს/ალათის და ჩარჩოს კედელთან გადაბმის ადგილას ნაპრალების შევსება;



### იატაკი/სარდაფი

არაიზოლირებული იატაკიდან ან სარდაფიდან ამოსული ცივი ჰაერი მოქმედებს თქვენი საცხოვრებელი ოთახების ტემპერატურაზე, ამიტომ თქვენ გჭირდებათ უფრო მეტი რაოდენობის სანვავის მოხმარება სითბოს შესანარჩუნებლად. სარდაფის დათბუნების დროს თბოიზოლაცია უნდა გაუკეთდეს მის ქვეშ, იატაკს, აგრეთვე არსებულ ფანჯრებსა და კარებს.

სარდაფის თბოსაიზოლაციოდ გამოიყენება იგივე მასალები რაც სხვენის დათბუნების დროს. ესაა: ცელულოზა, მინერალური ბამბა, შუშის ბამბა და სხვა. ასევე დასაყრელი და მათბუნებელი მასალა.



ბროშურა მომზადებულია პროექტი: “ენერგოეფექტურობის” ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების მიერ



European Bank  
for Reconstruction and Development



WINROCK  
INTERNATIONAL  
Putting Ideas to Work

პროექტი ხორციელდება კავშირი “ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს” მიერ



დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:  
თბილისი, 0160, დ. გამრეკელის ქ. №19  
ოფისი №611, VI სართული

ტელ.: +995 32 224 25 40, 224 25 41.

ფაქსი: +995 32 224 25 42

ელ.ფოსტა: eecgeo@eecgeo.org

ვებ.გვერდი: www.eecgeo.org

ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო

# დაათბუნე სახლი



ნებისმიერი შენობის სახურავი, ჭერი, კედლები, კარ-ფანჯრა იატაკი და სარდაფი სითბოს დანაკარგის კერა შეიძლება იყოს. თითოეული მათგანის თბოიზოლაციით შესაძლებელია ენერჯის მოხმარებისა და შესაბამისი გადასახადების შემცირება.

### ჭერი და სახურავი

ჭერიდან სითბოს ნაკადის გადინების თავიდან ასაცილებლად შეგიძლიათ:

ჭერზე სახურავის მხრიდან დააგოთ მინერალური ან მინის ბამბა, დაყაროთ ფხვიერი მასალები — პემზა, ნახერხი/ნაფოტი, მიწა, კერამიზირებული ხრეში.

შესაძლებელია გამოვიყენოთ უფრო იაფი მასალა, მაგალითად: ძველი შალის გადასაფარებლები, მატყლის საბნები და ლეიბები, კვერცხის ჩასადები კონტეინერები, პლასტმასის ცარიელი და თავდახურული ბოთლებითა და პენოპლასტის ნაფხვენებით შევსებული ფქვილის ან შაქრის ძველი ტომრები.



### კედლები

შენობის გარე კედლების დათბუნება შესაძლებელია, როგორც გარე ისე შიდა მხრიდან: გარედან დასათბუნებლად საჭიროა კედ-

ლის წყალგამძლე თბოიზოლაციო მასალით მოპირკეთება და შემდგომი შელესვა;

შიდა მხრიდან დასათბუნებლად კი გამოიყენება მინერალური და მინის ბამბა, პენოპლასტი და ა.შ. რომელიც მოპირკეთდება თაბაშირ-მუყაოს ან დაპრესილი ნახერხის ფილებით.



რადგანაც კედლების თბოიზოლაცია ძვირადღირებული ღონისძიებაა, სასურველია მათი გათვალისწინება შენობის კაპიტალური შეკეთების დროს.

არსებობს უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდები, მაგალითად გარე კედლებზე ფარდაგების ჩამოკიდება, „კედლის“ ტიპის ან ჩაშენებული ავეჯის განთავსება.

### კარ-ფანჯარა

კარ-ფანჯრიდან თბილი ჰაერის გადინების კერებია:

ფანჯრის ალათასა და მინას შორის, კარ-ფანჯრის ჩარჩოს/ალათის შეერთებებისა და მისი კედელთან გადაბმის ადგილები.

კარ-ფანჯრის დაგმანვის მარტივი და ხელმისაწვდომი ღონისძიებებია:

— სილიკონის ნებოთი (ჰერმეტიკი) ფანჯრის ალათასა და მინას შორის არსებული ღრეჩოების ამოვსება;

— ფანჯრის ალათაში არსებული მინიდან 0.5-1.0 სმ დაცილებით ღარის ამოჭრა და მეორე მინის ჩასმა, რაც მინა პაკეტის ეფექტს ქმნის;

— ანალოგიურ ეფექტს იძლევა ალათაზე გამჭვირვალე ფირის (მაგ. ყვავილების შესაფუთი ფირი, ცელოფანი) ნებოვანი ლენტით (სკოჩი) დამაგრება ოთახის მხრიდან;



— პარალონის, რეზინის, სილიკონის, თვითნებადი შემამჭიდროველების გამოყენება კარ-ფანჯრის ყველა სახის კონსტრუქციების ალათასა და ჩარჩოს შორის არსებული ნაპრალის ამოსავებათ;

— სილიკონის ნებოთი (ჰერმეტიკი), პლას-